

საქონლითიკო, სამეცნიერო და სალიბერატორო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს
№ 50 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 12 1899 წ. **№ 50**

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

საქონლითიკო, სამეცნიერო და სალიბერატორო ნახატებიანი გაზეთი

კვალი

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე იმავე პროგრამით რიუგორც 1899 წელს.

რედაქციისაკან: ახალი წლიდან „კვალს“ მიემატება ახალი განყოფილება, რისთვისაც შედგება მუდმივ თანამშრომელთა სარადაქციო წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზღვენელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნიით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზღვენელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნიით 4 მანეთ. სამი თვით გაუზღვენელათ 2 მანეთ., გაგზავნიით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зом. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კარბუსის ახლო.


ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: ხალხის გულის მესაიდუმლე (გაგრძელება) ივ. გომართელისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენტები. — აგვირიდან კვირამდე გ. — ოსი. — ჩვენი სანი. — * * * ლექსი ი. ევლოშვილისა. — სხვათა შორის დამსწრე გარმაცეცთაგანისა. — ბელგ. — დან. ლ. — ს. — მტრები ელ. წერეთლისა. — ლია წერილი ბ-ნ დოქტორ ნაზაროვს ვახტანგ ღამბაშიძისა. — წერილები რედაქციის მიმართ შენისუნა და გერძო განცხადებები.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ივ. ნინოშვილისა.)


(გაგრძელება *)



Иныхъ временъ, иныхъ картинъ
 Провижу я начало. ნეკრასოვა.
 XI.

ვენი ახლგაზნა ბელლოეტრისტები როცა ასეთ პირებს გეინატენ, სამ მათ დაგეინასიათებდენ, უმალ თავის ზიზლსა და სიძულვილს გვატყობიებენ ასეთ პირებისადმი. ნინოშვილის მოთხრობებში კი არ არის არც ერთი სტრიქონი, საცა ის თავის ზიზლს გვიცხადებდეს მოსე მწერლის ან დავით დროიძისა-

*) იხ. „კვალი“ № 49



დმი და ყველა იმ პირებისადმი, რომლებიც გლესს დღეს უმწარებენ, ან ცდილობდეს, მათდამი იმაზე მეტი სიძულვილი დაგვიბადოს, რისიც ღირსი ისინი თავისი მოქმედებით არიან. ყოველივე ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ ნინოშვილს ჰქონდა ძლიერი რეალისტ-ბელლეტრისტის ნიჭი. მისი ნიჭი ახლა იშლებოდა და ის, რისი დაწერაც მან მოასწრო, მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს იმ ლიტერატურული განძისას, რომელსაც ჩვენ მწერლობას შეძენდა, ძლიერ სულთან ძლიერი სხეულიც რომ ერგუნებია მისთვის ბუნებას. ბუნებით ის იყო მეტათ მგრძობიარე გულის, პატიოსანი, სიმატდიის მოყვარე და მისი ხასიათი მის მოთხოვნებსაც დაეტყო. ჭეშმარიტებას, სინამდვილეს ის ყოველისფერზე მაღლა აყენებს და გარდა ორიოდ ტენდენციური მოთხოვნისა ამ თვისებისათვის არსად არ უღალატნია. ის ხედავდა ცხოვრებაში მრავალ უსამართლობას, თუ კალმით თუ საქმით ებრძოდა მას და ამ ბრძოლას გადააღია თავისი სუსტი არსება. ჭეშმარიტების სიყვარულმა და ცხოვრების პირობებმა შეაჩვიეს ის ღრმა დაკვირვებას; ის ცდილობდა, შეეგნო ჩვენი ცხოვრება და კიდევ შეიგნო, ბელეტრისტულაში პირველმა დაკვანახვა ცხადათ იმ სოციალური კლასების წარმოშობა, რომლებიც ჩვენ ცხოვრებაში ვითარდებიან, და ახალი სოციალური ურთიერთობა, რომელსაც ახალი კლასების განვითარება იწვევს. თავისი შეხედულებით, რწმენით, იდეალებით ნინოშვილი ნამდვილი შვილი იყო ჩვენი დღევანდელი ცხოვრების; ის დაიბადა ძველი და ახალი ხანის სამშლერზე და თავის სამხატვრო ნიჭით შეიტანა ახალი შუქი ჩვენ ლიტერატურაში: მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ილიუსტრაციაა ახალი ხანის დაწყების ჩვენ ცხოვრებაში, ახალი კლასების აღორძინების, ახალი ურთიერთობის დამყარების, ძველ ჩვეულება შეხედულებათა შერყევის, - ხალხის ფიზიოლოგიის ცვლილების; ურშვილს, ივანეს, მუნჯაძეს, სიმონას, ტასოს, ლიხას ძველი გზით სიარული აღარ შეუძლიათ, ცხოვრების ძველი ჩარჩო მათთვის დღეს მეტათ ეიწროა; ეკონომიური მიზეზები ითხოვენ ამ ჩარჩოს განკრეფას და ნელანელა კდევს ანგრევენ. თუ ამდენათ შეიცვალა ჩვენი ცხოვრება, თუ კარი დაარაკუნა ახალი წარმოების ხანამ, უსათუოთ უნდა ყოფილიყვენ ჩვენში ამ ახალი ხანის შედეგებიც, მსი იდეოლოგიები; მათი შეხედულება ცხოვრებაზე და იდეალი უნდა სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე ძველი თაობის, რომელიც ძველი ცხოვრების გაუღენის ქვეშ აღიზარდა. რასაკვირველია, ასეთი პირები იყვენ ჩვენში, მაგრამ ერთი რომ—მათი რაცხვი ცოტა იყო, მეორე—გარკვევით ჯერ არ

ჩანდენ და ძველი თაობის მეთაურებს არც უნდოდათ მათი დანახვა. 1) ამგვარი პირების გუნდს ეკუთვნოდა ნინოშვილიც; თავისი დაუღალავე შრომით და სულის სიძლიერით ის ამხნევებდა ყველას და ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ მისმა სიყვარულმა მისი ცხედრის გარშემო შეკრიბა ყველა მისი თანამოაზრე, რომ უკანასკნელათ გამოთხოვებოდენ ამ პატიოსან ადამიანს. ნინოშვილის კუბოსთან გამოაშკარავდა, რომ რამდენიმე პირი კი არა, მთელი ასჯი დასი არსებობდა ახალი დროის წარმოშობილი; ის კრიტიკულათ უყურებდა ძველ მოღვაწეებს და მათ პროგრამისათვის საკუთარი პროგრამა წამოუყენებია გვერდს. ამ ახალ დასს „კვალმა“ (4 წ. № 21) უწოდა „მესამე დასი“. „იერიცილებმა“ ჯერ ღრეჭა დაიწყეს და მხოლოდ სიტყვა „მესამე“ ს მიიქციეს ყურადღება, იმის მეტი ვერა გაიგესრა და დაწყეს ძახილი; მალე მეოთხესაც გამოჩეკენ, მეხუთესო და სხვ. საქმე იმაში კი არ იყო, მესამეს დაუძახებდით თუ შეექვსეს ამ ახალ დასს, საქმე იმაში იყო, რომ არსებობდა ასჯი დასი, რომლის ფაქრი, რწმენა და იდეალი სხვა იყო, ვიდრე ძველი თაობის, რომელიც სხვანაირათ უყურებდა ჩვენ ცხოვრებას, ვიდრე ძველი მოღვაწეები. როდესაც „იერიცილები“ დარწმუნდენ, რომ ღრეჭით ისევე თავის თავს ატყუებდენ, კერემენის პირით ქვეყანას აუწყეს: „შეიძლება მესამე დასი დაგვებადა, მარა რა გააკეთა? არაფერი“-ო. რასაკვირველია, მხოლოდ ბრახმორეულ ადამიანს შეეძლო ამდენათ დაბრმავებულიყო, რომ ახალი დასისათვის მეორე დღესვე შესამჩნევი ნაყოფი მოეთხოვა. „ვერც მომავალში გააკეთებსო“, ინუგეშებდა „იერიცა“ თავს. ბ. ნ. ნა—ლსაც ბრახი მოერია: როგორ გაბედეს ვილაც მესამე დასელებმა ძველი მოღვაწეების კრიტიკულათ მხერა და არ მოუღარიკეს მათ ქედო, და გაანაღურა მესამე დასი იმს გამოცხადებით, რომ არაფერი გაუკეთებიაო. როდესაც ახალი დასს დამაღივა შეუძლებელათ დაინახეს, მოჰყვენ იმის ძახილს, რომ მესამე დასს ჩვენში ნიადავი არა აქესო. 4 წელს „მომამე“-ში ნა—ლი წერდა: „ნუ თუ ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილება არსებობს, როცა ქარხნები და ფაბრიკები არ გვაქვს და არც ერთ წარმოებაში მაშინებს არ ვხმარობთო?“ სამი წლის შემდეგ იმავე ჟურნალში ურბნელი ამტკიცებდა ამ დასის უნიადავობას ჩვენში და დაამტკიცა მხოლოდ ის, რომ მარქსის მოძღვრება არც ესმოდა და არც იყო მისი მიმდევარი. ნუ თუ საკადრისია, ბ. ნ. ნა—

1) იღ. ჭავჭავაძემ 94 წ. იკერიის ქოთაურში უარ ჰყო ეს ასჯი მიწები, რადგანაც მათ ვერ ხედავდა!



ლო, ისეთი მოძღვრების დარღვევას ცდილობდეს ადამიანი, რომლის შესახებ სრული უფიცია? ასეთ პოლემიკას რომ გადაიკითხავ, მკითხველო, სწორედ გაგლიძებთ: ეკმათებოდნენ ახალ მიმართულებას ჩვენ ცხოვრებაში, ამტკაცებდნენ ვითომ მის უნიადაგობას, ნამდვილათ კი თავისი უფიცობის მეტს ვერას ამტკიცებდნენ; იმდენი შრომის გაწევისას კი არ კადრულობდნენ, რომ შეესწავლათ, ოდნავით მაინც, ის მოძღვრება, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ; ვინ არ იცის, რომ ქარხნები და მაშინები კაპიტალიზმის უმღლესი საფეხურია, რომ მაშინებისა და ქარხნების უქონლობა სრულიადაც არ უარყოფს კაპიტალიზმის არსებობას, რადგანაც განვითარების დაბალ საფეხურზე კაპიტალიზმი არც პირველში და არც მეორეში არ საჭიროებს?! ძველი თაობის წარმომადგენლები თვითონვე დარწმუნდნენ თავის უფიცობაში და რომელი გზისთვის მიემართათ ახლა? აქამდე ამტკიცებდნენ მესამე დასის უნიადაგობას ჩვენში, მარა როცა ეს ტყუილი გამოადგათ, მაშინ ერთი გზა და დარჩენილათ: უნდა დაერღვიათ თვით ის მოძღვრება, რომლის წარმომადგენელიც მესამე დასი იყო ჩვენში. ძველი თაობა ჯერ თავს იწუგებდა, არავითარი ახალი დასი არ არსებობსო; როცა ამ გვარი ნუგეშით ვეღარ აწუგეშეს თავი, ფეოდალურ ზომებს მიმართეს: როგორ გაბედეთ და ქედი არ მოიხარეთ ჩვენ წინაშე და კრიტიკულად დაუწყეთ ჩხრეკა ჩვენ მოქმედებასო; როცა წყრომაც აღარ გაუფიქდათ, გამოაცხადეს: ჩვენში ქარხნები არ არის, მაშინებს ჩვენ არსად ეხმარობთ, მაშასადამე არც კაპიტალიზმი ყოფილა და მესამე დასელებიც ნიადაგს მოკლებული არიანო. როდესაც თავისი უფიცობისა თვითონვე შერცხვით, თეორიას მოდგენ! მაგრამ დახეთ უბედურებას: მესამე დასი არა თუ ვერ მოსპვს, ის დღითი დღე ჩრდებოდა და დღეს დასი კი არა, უკვე მთელ თაობათ გადიქცა მაგრამ ჩვენ მოწინააღმდეგებს საფანელი შემოაკლდათ და ისევ ბატონ-ყმურ იარაღს დაუბრუნდნენ—ლანძღვა გინებას;—ამისთვის არც ცოდნა საჭირო და არც ჭკუა! ჯერ მხოლოდ „ივერია“-მ მიმართა ამ ბასრ იარაღს და ცხადათ დაამტკიცა თავისი სრული უძღვრება იმ მოძღვრებასთან ბრძოლაში, რომლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ჩვენში ნინოშვილი იყო 2). როდესაც „ივერიელები“ კითხულობდნენ: რა გააკეთა მესამე დასმაო, და თავის თავს თვითონვე იწუგებდნენ:

გეშებდნენ: აჩაფერიო, უნიადაგოაო და სხე., ყოველივე ეს ნინოშვილსაც შეეხებოდა, რასაკვირველია. ნინოშვილმა გააკეთა ის, რისი მნიშვნელობაც მათ არ ესმოდათ; ნინოშვილმა იმდენი გააკეთა ხუთი წლის განმავლობაში, რამდენის გაკეთებაც ასე მოკლე დროს განმავლობაში ძველი თაობიდან ცოტამ შეძლო; ძველი თაობის მწერლებიდან ძალიან ცოტამ შეწირა თავისი თავი აწმყოს და მით მომავალსაც ასე სრულიათ, როგორც ნინოშვილმა, ძალიან ცოტა ხატავდა ჩვენ ცხოვრებას ისე დანამდვილებით, როგორც ნინოშვილი. მან განათა ჩვენი ცხოვრება, დაგვანახვა მისი მიმართულება და დაბადა ახალგაზდა ბელლეტრისტები, რომლებიც მის მიერ დაწვებულ საქმეს განაგრძობენ, და, რაც დრო გადის, თანდათან ირკვევა, ვინ არის უნიადაგო, ვინ მოჰქამა დღე და ვინ უფრო შეეფერება აწმყოს.

XIII.

ჩვენ ეცდილობდით, გამოგვერკვია, რამდენათაც შეგვეძლო, ნინოშვილის მოთხრობების დედა აზრი, მათი ღირსება და ნაკლულეფანება. დაგერჩა მხოლოდ განვიხილოთ, თუ რამდენათ ამართლებს ამ მოთხრობების გარჩევა პირველ თავში გამოთქმულ მოსაზრებას. სოციალური პირობები პირდაპირ აძლევდნენ მასალას ნინოშვილს თავისი ბელლეტრისტისათვის; გოგია უიშილი, ივანე, სიმონა, მუნჯაძე, მოსე მწერალი, დროიძე, მკლავაძე—ყველა ესენი ნამდვილი შეილები არიან დღევანდელი ჩვენი ცხოვრების, ნამდვილი ტიპები ჩვენი ერის სხვა და სხვა ნაწილის. ჩვენ წინანდელ ლიტერატურაში ტარიელ მკლავაძეს შეხედებით სხვა და სხვა სახით და წლოვანებით, მაგრამ გლესობიდან ვერ ნახავთ ერთი მხრით უიშილებს, და მუნჯაძეებს, მეორე მხრით დროიძეებს და მოსე მწერლებს, რადგანაც თვით ცხოვრება არ იძლეოდა ასეთ პირებს; ვერ შეხედებით ჯერანას, ლიხას, ტასოს ტანჯვას, იმიტომ რომ ხალხი ბრმა მანა იყო (ანენებელი ზნეჩვეულების, მთავარისობა ვერ შეეგნო და ურიტელებოდა თავის ხვედრს. რამ დაბადა დღეს ჩვენში ასეთი პირები? რას შემოაქვს შუქი ხალხის ბნელ გონებაში? ბატონ-ყმობის მოსპობით ჩვენი ერის მწარმოებელი ძალის განვითარებას დიდი დამბარკოლებელი მიზეზი მოცილდა; გლესობას მიენიჭა საკუთრება, ის თითონ გახდა თავისი შრომის პიჯრონი; ამიტომ ყოველ ადამიანს ენერგია მოემატა ცხოვრების გაუმჯობესებლისათვის და შრომა უფრო განაყოფიერდა. ამ გარემოებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო იმ განსხვავების განვითარებას და გამოაშქარაება, რომელიც გლესობაში არსებობდა: ახალი

2) ჩვენ რას ვამბობთ ამის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდა განსხვავებულ ნინოშვილს მოყვასთა სიყვარულის მქადაგებელი „ბურჯია“, და შექმნა მის საფუძველზე გვირგვინის დადგომისაც არ შეძლება.

პირობებით, უეჭველია, ერთნაირად ვერ ისარგებლებდნენ გიგოლა გულიაშვილისთანა პირები (წარსულიდან“ ს. მალობლიშვილის) და დანარჩენი გლეხები. გლეხობის ერთი ნაწილი ნელანელა მოწყდა დანარჩენს და დღეს შეადგენს სოფლის ბურჟუაზიას; ამათ რიცხვს ეკუთვნის დავით დროიძე, მოსე მწერალი; ზოგი მათგანი სოფელს თავს ანებებს და ქალაქებში მიდის, როგორც მამალაძე, ქალაქშიაც ფეხს იმაგრებს ჩვენი ბურჟუაზია. მწარმოებელი ძალის განვითარებამ შეცვალა ეკონომიური პირობები და ამით დაამყარა ჩვენ ხალხში სხვა ურთიერთობა: დროიძეებსა და დანარჩენ გლეხებს შორის ამ ორმოციოდე წლის წინეთ არა თუ არ არსებობდა, შეუძლებელი იყო ისეთი დამოკიდებულება, როგორც დღეს არსებობს მათ შორის. მწარმოებელი ძალის განვითარებამ გაართულა ცხოვრება გამძაველა ხალხის მოთხოვნილება. მარტო თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ გლეხს დღეს მეტი ხარჯი და მაშასადამე მეტი გარჯაც ჰქონდა, ვიდრე წინეთ; მართალია, ბატონყმობის მოსპობამ ჩვენში მწარმოებელი ძალის განვითარება გამოიწვია, მაგრამ ამ განვითარებას შეუჩერებლათ სიარული დიდხანს არ შეეძლო, რადგანაც ნატურალური წარმოების ფარგლებით იყო შეზღუდული. ჩვენმა მწარმოებელმა ძალამ მიაღწია უკვე ამ ფარგლებს და, თუ არ გაანგრია, მეტი ზრდა აღარ შეუძლია; მისი განვითარების შეფერხება კი გლეხს ეკონომიურათ ძალიან აქვეითებს, რადგანაც მას არ შეუძლია, თავის შრომას იმდენი ნაყოფი გამოაღებოს, რამდენიც მისთვის დღეს საჭიროა. ამ გვარათ ჩვენი ერის მწარმოებელი ძალის მდკომარეობა და ის მიზეზები, რომლებიც მის განვითარებას წინ ედობებიან, ერთი მხრით ბადავენ უიშვილის, ივანეს, მუხჯაძის და სხვ. უბედურებას, მეორე მხრით ხელს უწყობენ დავითისთანა და მოსე მწერლისთანა პირების გამდიდრებას და გლეხობის დიფერენციაციას: ერთს ყოველიფერი ვალში ეყიდება, მეორე კი პირველის სიღარიბით უფრო მდიდრდება. სად არის გლეხის საწველი, რას უნდა მიმართოს მან? გლეხს ერთი საშუალება და დარჩენია: მან უსათუოთ უნდა დააგდოს წარმოების ძველი გზა და მონახოს ახალი, ესე იგი, უნდა შეცვალოს დღევანდელი სოციალური პირობები; ამას ითხოვს მწარმოებელი ძალის განვითარება, მას აღარ რგებს ნატურალური წარმოების ვიწრო ტანისამოსი და, რომ ვითარდება ის და ცუდის ნელანელა ჩვენ ცხოვრებას, ამას საკმარისათ გვიმოტიციებს ნინოშვილის მოთხოვნები. ივანე და მისი მგზობლები იძულებული არიან ისეთ წყაროს მიმართონ, რომელიც უკეთ დააჯილდოებს მათ შრო-

მას; თოხით ველარ აუვიდენ ყოველიფერს და ხელს კიდებენ სხვა და სხვა მრეწველობას. თუმცა ბეერის აზრით შინათ მრეწველობა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგი ელემენტია, მაგრამ როგორც სხვაგან ისე ჩვენი შინათმრეწველობის ზოგიერთი დარგის წარმომშობი მიზეზი უცილოთ კაპიტალიზმის ფეხის შემოდგამა.

X ივ. გამანთელი.

(დასასრული იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

ბაკოს ქართული ბიბლიოთეკაში ასეთი ახირებული განცხადება ყოფილა გამოკიდული: „რადგანაც მ დეკემბრის კრებამ უკვე გადაწყვიტა, რომ ბიბლიოთეკა გადაეტანოს სამხრეთის საზოგადოებას, და ეს კრება კანონიერი არ არის, ამისთვის 12 დეკემბერს ნაშუადღევს, 1 საათზე მოხდება საკანგებო საზოგადო კრება ამ ბიბლიოთეკის სადგომში, სადაც დ. მკერვალიშვილი წაიკითხავს ერცულ მოხსენებას ბიბლიოთეკის შესახებ“. საკვირველ არს, აქაულთა საქმენი თქვენნი!

მთავარმართებლის კანცელარიამ განმარტა, რომ ბრძანება იარაღის აყრის შესახებ არ შეეხება ხანჯალს, ხმალს, რეგოლვერებს და შინაურ, ძველებურ თოფებს. აიკრძალების მხოლოდთ ეგრეთ წოდებული რუსული თოფები, ბერდანკები და სხვები.

სასულიერო უწყებაში აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ სახალხო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები დაუქვემდებარონ ადგილობრივ მღვდელთა ზედამხედველობას.

სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობას განუზრახავს ზოგიერთ გზებზე შემოიღოს ვაგონი-ლუქანი, საიდანაც სადკურების მოსამსახურებს შეეძლებათ იათათ და გაუჭარვებლათ იყიდონ სასურსათო მასალები. ამნაირ ღუქნება გასკემენ იჯარით ან ადგილობრივ მომხმარებელ ამხანაგობებზე და ან ვაჭრებზე და ისინი აწარმოებენ ამ საქმეს.

მომავალი წლის პირველი იანვრიდან რუსეთში იხანება 80 ახალი ადგილი ფაბრიკების ინსპექტორთა, ხოლო ახლანდელი ინსპექტორთა რიცხვი ორჯელ მეტი იქნება.

დღეს, კვირას, სახალხო თეატრში წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი“.

ჩვენ მივიღეთ კ. თავართქილაძის გამოცემული კა-
ლენდრები, კედლის და ჭიბის. ორივე კალენდრები, შვიცა
გენ ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთა უქმეებს. გაჭდა
ამისა ჭიბის კალენდრში საყურადღებო წერილები და
მოთხრობებია მოთავსებული და აგრეთვე გაჭრა მრეწვე-
ლთათვის საჭირო ცნობები. ფასი კალენდრებისა: კედ-
ლისა 40 კ. ჭიბისა კი 20 კ.

პარიჟის სინდიკატის მუშებმა 31 ოქტომ-
ბერს საჩუქარი მიართვეს ემილ ზოლას მისი
რეაქციასთან ბრძოლის სახსოვრათ, დრეიფუ-
სის საქმის გამო. ეს საჩუქარი წარმოადგენს ქანდა-
კებას და გამოხატავს „სიმართლის გამარჯვებას;“
ქანდაკება მოუმზადებია ერთ მუშას, ელუარდ ბომეს,
სინდიკატების ფედერაციის მდივანს. ეს ქანდაკება
წარმოადგენს ჭეშმარიტებას, რომელიც გამარჯვებუ-
ლი სახით ამოდის ბნელი ჭიდან, სადაც იგი მილ-
ტარიზმს და კლერიკალიზმს ჩაუგდიათ. მილიტარიზ-
მის წარმოსადგენათ გამოქანდაკებულია აფიცერი,
ხოლო კლერიკალიზმის წარმოსადგენათ კი აბატი.
აბატი ლოცულობს, აფიცერი კლდეს ებლაუჭება,
მაგრამ ქეშმარიტება ზიზლით და ხელის კერით იბე-
რებს მათ და თვალები მზის სხივებით მოლაპლაპე
მომავალ ჰორიზონტისაკენ მიუპყრია. გვერდით მი-
მაგრებულია ვერცხლის ფიცარი, რომელზედაც ამო-
ჭრილია: შეერთებული მოწმები გონებისა და მუს-
კულის შრომისა ემილ ზოლას. როცა მუშათა ფე-
დერაცია წარუდგა დიდებულ მწერალს და მიართვა
ეს ქანდაკება, ზოლამ უთხრა, მათ: „დიხ, ეს შეე-
ნიერება რამ არის, საუცხოვოა! დედგამ ამ საჩუ-
ქარს გამოჩენილ ადგილას, და იგი განსაკუთრებით
მომავანებს ხოლმე იმ როლს, რომელიც მუ-
შათა პარტიამ შეასრულა ჩვენ-მიერ მართლმსა-
ჯულებისა და სამართლიანობის სახელით აღ-
ძრულ ბრძოლაში. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ეს მხო-
ლოთ თქვენი მეოხებით, მეგობრებო, თქვენი პარ-
ტიის შემწევობით. და მე აუწერელ ბედნიერებასა
ვეგრძნობ იმას გამო, რომ თქვენ, ე. ი. მუშებს, და
ჩვენ, ე. ი. მეცნიერებსა და პოეტებს, შორის მჭი-
დრო ურთიერთობა მყარდება.“

რომელიც წიფის სადგურში გადახტა და თან
წაიღო ს. ც. ქალის კალოზები, ერთი სხვა ქალის
ქოლგა და ერთი ბებერი დედაკაცის შალი. თანაგრ-
ძნობაც ასეთი უნდა!

„კავალის“ კორესპონდენციები.

სოფ. საყვავისტყე. სოფელი საყვავისტყე მდებარეობს ჩოხატაურის საბოქაულოში მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირზე და შედგება 120 კომლისაგან. ნიადაგი ძლიერ ნოყიერია, მაგრამ საუბედუროთ, თვითნებური გლეხ-კაცის საკუთრებას თითო დღიურზე მეტი არ შეადგენს; აზნაურებს-კი საყოფათ აქვთ მიწა-წყალი. დღემდის გლეხები მიწაობდნენ აზნაურების მიწებში სამესამედოთ ან სანახევროთ და ამითი იკვებებდნენ თავს, დღეს კი აზნაურობამ ქამთა ვითარების გამო თითონ მოკილა ხელი ხენა-თესვას, ამის გამო გლეხმა ვეღარ იშოვა სამუშაო თავის სოფელში, რის გამო იძულებული გახდა, წასულიყო სამუშაოთ თავის სოფლიდან. საყვავისტყელებს შეხედვით მუშათ ქ. ბათომში, ფოთში, ნოვოროსისისკშიაც და სხვ. რამდენიმე წლის წინეთ ზოგიერთებმა აღძრეს კითხვა სამრეელო სკოლის დაარსების შესახებ და დააარსეს კიდევ ერთკლასიანი სამრეელო სკოლა, ამით, საყვავისტყელების შეხედულებით, სრულიად უზრუნველი გახადეს მათი საქმე გონებრივი მხრით. როცა მამებს მოთხოვედნენ ცხრა აბაზს შეიღოს სწავლის ქრათ, ისინი უარს განაცხადებდნენ და შეიღოსაც სკოლიდან გამოიყვანდნენ. რომ გვეითხათ, რაზე შერებით მაგასაო, ისინი ვიპასუხებდნენ: „რაზე დაეკარგო, შე მასაცხოენებულო, ცხრა აბაზი? ნუ გეშინია, ჩემი შეილი სამე-ლარისტი არ გამოვიდეს“. სამკითხველო წივანთ საცავის სახელი ხომ გასაგონებლათაც ეჯავრება.-- ასეთ მდგომარეობაშია დღეს დღეობით საყვავისტყელები. წელს ამ სოფელში, ბ. ბ. გიგო, ერმილე და ალექსანდრე დავითისძე შარაშიძეებმა მათი საკუთარი ხარჯით და მეცადინეობით დააარსეს ორკლასიანი სკოლა სასწავლო განყოფილებით. იმედია მასწავლებლები ეცდებიან სკოლა შეაყვარონ ხალხს და მით გონებრივ სიღატაკისაგან ასე თუ ისე გამოიხსნან.

ბ. ჩხიკვიშვილი.

9 დეკემბერს სად. როინში მეორე კლასის ბუფეტში სოფიო ციციშვილისას პატარა ჩამადნიდან ამოაცალეს 142 მ. 25 კაპ. თუმცა ყოველი ლონის ძიება მაშინვე მიიღეს, ქურდიც ვითომ დაიჭირეს, მაგრამ ფული მაინც ვერსად იპოვეს. ფულის დაკარგვით შეწუხებულს ქალების ვაგონში სხვათა შორის ერთი იმერელი ქალი უცხადებდა დიდ თანაგრძნობას,

მოსკოვი. 21 ნოემბერს რუსეთის კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში გაიმართა ქართული სალამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. სალამომ დიდი ხალხი მოიზიდა. ქართული განყოფილება შედგებოდა შემდეგი სიმღერებისგან: „კურდღელი ჩამოცანცალდა“ გადა-

ღებული ნოტებზე ნათგანადქსაგან, „ნანა“ — რაქილი-
სა, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“. „გულნარა“ ჩა-
წერილი კლინოესკისაგან, „მშობლი მუხასაო“ და „გო-
გონა“, ჩაწერილი არაკიშვილისაგან. ხოროს ლოტბა-
რობდა ბ-ნი ბოგუსლავი (დირიგარი საიმპერატორო
თეატრებისა). ხორა შედგებოდა ქალთა და კაცები-
საგან. ქალები ჩაცმულნი იყვენ ვითომ ქართულათ
— უფრო კი ახალციხურათ, თუმცა ესეც ცოტათ
წააგვედა ახალციხურ ჩაცმას. ყმაწვილები ჩერქესკე-
ბში იყვენ, ზოგნი ყურთმაჯიან კაბებში. ჩვენებურმა
სიმღერებმა ძალიან უკემურათ ჩაიარა. უნდა აღნი-
შნოთ, რომ ჩვენი სიმღერა გადაღებული ნოტებზე
ბ-ნ კლინოესკისაგან საკვირველი სისწორით არის
ჩაწერილი — კილო და ხასიათი სრულიად დატულია.

საერთო ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ
ყველა სიმღერაში სულ პირველ სიტყვებს იმეორე-
ბდენ. ბოლოს სცენაზე ითამაშეს ლეკურა ერთმა
ქალმა (ქართველმა) და ორმა ყმაწვილმა. ქალი ქარ-
თულათ იყო თავდახურული. საწყენი არის ისიც,
რომ ასე ურიგოთ, უხეიროთ ჩაცმულნი გჩვენებინ
უცხოელებს. ასეთი ლეჩაქი ვხვრია სცენაზე მოღე-
კურეს, რომ ჩვენში შაბათობით ყმაწვილ ქალს ლო-
ცვაზე პირჯვრის დასაწერათ არ გაუშვებენ. აგრეთვე
კაბა, სარტყელ-გულისპირი — კაბა მოკლე (უშლიე-
ფო), რაც სულ არ უხდება ლეჩაქიანა. ის ჯობდა,
თუ არ იყო, არც ჩაეცვათ, თორემ ხომ მოგესხენე-
მათ „თვალი ქამს საქონელსაო“; ლეკურისას ხომ
ნულარ მეტყვიო! სულ შურდულივით სრიალებდენ
და ბზრიალასავით ტრიალებდენ. სად იყო ჩვენი
სიღარბაისლე, სიწყნარე, სინაზე?... ეს რალა უბედუ-
რებაა, რომ ყმაწვილები ასე გვარცხვენენ, ვითომც
ჩვენ ზღვრობისა არა გვესმოდეს რა: ჯერ იყო და
სცენაზე სულ ქუდიანები დამწკრივდენ ეს უცნაური
ქართველები და მერე კიდევ ლეკურის თამაშობის
დროს ერთი მოცეკვავე ქუდს ძალზე თავზე იფხატა-
და, თითქო შინდორში ქარიშხალმა მოასწოროცა.
ჩვენ ახლოს გავიგონეთ, რომ თქვენ: „ჩანს, ქუდს
არას დროს არ იხდებო“. მერე კიდევ, ისე აუტია-
ლებდა ჩერქესკის კალთებს მოცეკვავე, რომ ჩვენ
შეგვეშინდა ჩხბტი-კობი და მოცეკვავე მოცეკვავე ქა-
ლისთვის.

იმედია შემდეგში მაინც მეტ ყურადღებას მია-
ქცევენ ჩვენები უცხო მხარეში ამისთანა წვრილმანს,
რადგანაც ხშირათ ამისთანა წვრილმანზე აფუძნებენ
უცხოელნი თავის აზრს ამა თუ იმ ჩვენ ზნე-ჩვე-
ულებზე.

კონცერტს შემდეგ გაიმართა ევროპიული ცე-
კვა-თამაში.

მგონი რომ მიუხედავად დიდი ხარჯისა (სახლის

ქირა, თავგულები და გვირგვინები ცალკე მოშლე-
რალთ, და სხ. და სხ.), კარგი შემოსავალი უნდა
დარჩეთ.

დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი სუმბათაშვილი
(იუფინი) საღამოს გაპარტისაივის, აგრეთვე სხვა პირ-
ნი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კონცერტში
და ისინი, ვინც სხვა-და-სხვა შრომა მიიღეს ბილე-
თების გაყიდვაში და საღამოს მოწყობაში, როგორც
ძმანი ყვერიშვილები, კვალიაშვილები და სხვანი.


ბაბა.

კვირიდან კვირამდე

თბილი ადგილის დაკარგვის შიში, —
აშოაქდაის სრავი. — კრიტიკოსი ხომ-
ლელი.

საღამოს არ მიიყენს ადამიანს თბილი ადგილის
დაკარგვის შიში! აი ექიმი ნაზაროვი: საიდვა-
ნლაც მოლონდებია ამ ახირებულ დოსტაქარს,
ვითომ ექიმი ლამბაშიძე ადგილის წართმევას
უპირებს — (ლამბაშიძე გვარწმუნებს, ფიქრათაც არ
მომსელია ეს განზრახვა) და სულ ერთიან
არევე-დარევა დაეთარი. — მე ვარ რკინის გზის
ექიმი, არ არსებობს ლამბაშიძეო, თვალ ნაკრავსავით
გაძახის ნაზაროვი. როცა საექიმო სამმართველოს მუ-
შის საჩივრის გამო შეეკითხენ, ვინ, ან სად არი ექიმი
ლამბაშიძეო, ნაზაროვმა უარ ჰყო თავისი კოლეგას
არსებობა და თან დასძინა; მე ვარ რკინის გზის ექი-
მიო. როცა მუშის ავთამყოფობის შესახებ შეეკით-
ხენ, უპასუხა: მუშამ თითონ შეისეა ყურში მწერიო
და ზედ დაუმატა — რკინის გზის ექიმი მე ვარო. თუ
ცოტა კდე დააგვიანდა ამ ყოფაში ნაზაროვს, ის,
უეჭველია, ლამბაშიძისა კი არა, ქუთაისის ყველა
ექიმია არსებობასაც უარ ჰყოფს და საცოდავ რკი-
ნის გზის მუშებს ყურში დათვის შესმასაც დაწამებს.
რა ექნათ. ასეთია ჩვენი უბედურე ცხოვრება! ზო-
გი ამ გვარ ხომებს ხნარობს თბილი ადგილის შესა-
რჩენათ, ზოგი კიდევ სხვას.


ამ ხომლელს ვილას თვალში უნდა აქციის
აწევა? რას დავიდარბობს? რას ეძიებს დაფნის
გვირგვინს თუ? ჭეშმარიტათ ღარსია ამისი, და მად-
ლიერი ქართველი ვრი კიდევ შეამკობს გვირგვი-
ნით მის ღვაწლით მოსილ თავს, მხოლოთ იმ პი-
რობით, თუ კელავ აღარაფერს ამოიწეს რუსულ
ყურნალ-ვაზეთებიდან და თავისათ არ გაასაღებს.



მართალია ესეც შრომაა, მაგრამ შრომა არა საგვირგვინოა. ვისაც კრიტიკოსის სახელი უნდა დაიმსახუროს, იმისთვის ამოწმებს კარდა, თუ თქვენც დამეთანხმებით, სხვა რამეც არი საჭირო. ვიცი კრიტიკოსი (?) ვამიჯავრდება და ძველანას შემეყრის „გ—ო“-მ ცილი დამწამაო, ამისთვის მოვიყვან აქ სიტყვა სიტყვით იმ უნებღებოთ ამოწმებლ ადგილს. აიღეთ ამ წლის „Жизнь“-ის პირველი წიგნი, გადაშალეთ მერვე გვერდი და მეორე სტრიქონიდან ბოლოში წაიკითხავთ შემდეგს: „Буржуазное общество по самой своей сущности житье интенсивнее, скорѣе изживается, нежели все прошлые общественныя формы. Гигантскій ростъ производительныхъ силъ и сопровождавшій его неслыханный раньше прогрессъ научныхъ знаній за одно столѣтiе надѣлали въ немъ болѣе прорѣхъ, чѣмъ бы это могли сдѣлать самыя разрушительныя войны и кровавыя перевороты... Не успѣвъ еще какъ слѣдуетъ закрѣпить за собою недавно добытое, человѣкъ почувствовалъ себя уже наканунѣ чего-то новаго... но стройная послѣдовательностью и простая въ своей основѣ логика социальныхъ явленій не сразу находятъ себѣ мѣсто въ головахъ людей; онѣ видны на разстоянн, но въ каждый данный моментъ являются человѣку въ видѣ сложной проблемы, которую —разъ онъ на ней остановился,—борьба за существованіе заставляеть его во что бы то не стало рѣшить. Въ переходныя эпохи, подобныя нашей, когда традиціонныя возрѣнія... ახლა აიღეთ ამ წლის „კრებულის“ უკანასკნელი ნომერი, გადაშალეთ მე 42 გვერდი და თქვენ წაიკითხავთ შემდეგს: „ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრება, ბუნებრივად, მეტათ ინტენსიურია, ამიტომაც ძალიან მალე ცვდება, იმაზე უფრო გაცილებით ადრე და მალე, ვიდრე ძველი დროს გადასული საზოგადოებრივი ფორმები. მრეწველობის, წარმოების ძალთა საშინელმა, კოლოსალურმა ზრდამ და საარაკო პროგრესმა, რომელიც მოხდა ტენიკასა და საზოგადოთ მეცნიერებაში იმ ერთი საუკუნის განმავლობაში, თანამედროვე კლასთა შორის გახეთქა უფსკრული, რომლის მზგავსი ისტორიაში არ მოუხდენია არც თავზარ დატყემომებს, არც სისხლით ატბორებულ რევოლიუციებს... ჯერ კაცობრიობას თავსუფლათ ისიც კი ვერ ჩაუბარებია მტკიცეთ და სამუდამოთ ხელში, რაც შეუძენია, და ადამიანის ფხიზელი აზრი ახლავე ახალ-ახალ და ბრწყინვალე იდეალებს ეტანება... მაგრამ რიგზე ჩარახ უღი თან და თანი და ძალიან მარტივი თავის საუფქვლებით სოციალურ მოვლენათა ლოალიკა იმ წამსვე ერთბაშათ როდი პოულობს ხოლმე ადგილს ადამიანთა გონებაში. სოციალური მოვლი-


ნებანი შორიდან მოჩანან და შორიდანვე განიხივიან. მაგრამ ყოველ აღნიშნულ მომენტში ადამიანს წარმოუდგება ერთ უდიდეს, რთულ პრობლემათ, რომლის ახსნას და ნათლათ გარკვევას თხოულობს გამწარებული ბრძოლა არსებობისთვის. ისეთ გარდამავალ ხანებში, როგორც მაგალითათ ეს ჩვენნი დროა, როდესაც ყოველი ძველი აზრი“ და სხვ... აი ამგვარ მაგალითებით მე შემეძლო მთელი ფურცლები ამეგსო, მაგრამ ამისთვის არც დრო მაქვს და არც ადგილი, და მართალი გითხრათ, არც სასიამოვნოა. ამას შემდეგ მოღა და ნუ გაგეცინება, როცა ამკვარი კრიტიკოსი გომართელს უფიცობას უკეფინებს და ნინოშვილს „ყარამანიანზე“ აღზრდალს უწოდებს.

გ—ო.



ჩვენი სახიობა.

ამ თვის 9-ს ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნა „ჰამლეტი“ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით. როგორც მოსალოდნელი იყო თეატრში დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. წარმოდგენამ ჩაიარა ისე, როგორათაც მოსალოდნელია ჩვენში. საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ, რომ „ჰამლეტი“ ძალიან ძნელი გასაკები და წარმოსადგენია. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული არტისტები და აკრეთვე განსაკუთრებითი საზოგადოებაც. პიესის თითოეული ფრაზა ღრმა აზროვნანა და ამის გაგება ყოველ კაცს არ ეხერხება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გუშინწინდელ წარმოდგენაზე მეათედს არ გაუგია ის, რაც სცენაზე წარმოებდა. მესხიშვილმა დიდი ნიჭით და მოხერხებით დაგეინათა წინ „ჰამლეტი“, მარა მისი გაგება მაინც გაძნელდა. ერთი რომ არტისტის სიტყვა არ წედეს ყველა მაყურებელს და მაშასადამე შექსპირის დიდ მნიშვნელოვანი სიტყვები ტყუილა უბრალოთ იკარგება. მეორეთ, „ჰამლეტი“-ს ორქოფობა, კი—არა—ობა, ხასიათის სისუსტე და უმოქმედობა ვერ იყო მკაფიოთ გამოხატული. არტისტმა დღხანს უნდა იმუშაობს „ჰამლეტზე“, უნდა გადაიკითხოს ყველა ის, რაც მასზე დაწერილია და მერე გაოვიდეს სცენაზე. ასე შერებიან ევროპის ყველა სახელოვანი არტისტები, როცა „ჰამლეტი“-ს წარმოსადგენათ ემზადებიან. მესხიშვილს მაინც დიდი ბიჯი გადაუდგამს წინ „ჰამლეტი“-ს თამაშში. ჩვენ გვინახავს ის ამ როლში ამ ათი წლის წინეთ და სრულდებოთ არ ჰგავდა „ჰამლეტს“, ახლა კი ბევრი სცენები შესანიშნავი ხელოვნებით ჩაატარა და, რომ კდეე იმუშაებდეს, „ჰამლეტი“ ს კარგი მოთამაშე შეიქნება. საზოგადოების ყურადღება, მესხი-



შვილის გარდა, ქალ. ტასო აბაშიძემ მიიპყრო, რომელიც ოფელიას როლს თამაშობდა. და მართლაც, შემოღობილი ოფელიას როლი შესანიშნავათ ჩაატარა, ხოლო გონიერი ოფელიასი კი — სუსტათ. სუსტი იყვენ დანარჩენი არტისტები, გარდა გედევანოვისა. საზოგადოთ, რაც იშვიათათ დადგმენ კლასიკურ პიესებს, მით უკეთესია.


მაგრამ მე მიყვარს ბასრი ტარიგი, 1), მიყვარს, ცხოვრებაში ის შემოქმედარცხა.

შენ ვეკიდეს მწვდი: ჩემო კეთილო, მერე სად დავრგო ეგ გარდას კონა?! ნაღველი ნამათ შექმნსმეა, ჩემო სულიკო, ჩემო გოგონა!

ტურფაგ, ანა ვარ ადუკსს, ჩვეული, ნუ, ნუ, შეარსეკ აბოღ სიმს ჩანგზე,



ანაოს მეჩეთის ნანგრევები ასხაბადის მახლობლ თ.



ნუ ამომცდიმსვიდეს გულიდან, ტურფაგ, მომარა ეგ ნაზი ხელი, თორემ იფეთქეფს სისხლი წყლულებიდან, შენ-კი შეჭკრთეი მისი მხასკელი!

მინდა ვიმდერო, ვით ის მამდერებს, იმაჲ მწუხარე ნაღველიან ჭანგზე!

ნუ ამომცდი მასვიდეს გულიდან, თორემ თვიალა გადმოიცლება, და თუმცა მწარე ახლა სიცოცხლე, მაშინ საუფავათ გადამეტყლება!

ი. კვდოშვილი.

მართალი არის, მწვაგვა იგი, ვით მუხანათი მეგობრის კოტხა,

1) ტარიგი — მახვილი, ღანა.

ს ს გ ა თ ა შ ო რ ი ს .

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ამ თვის დამლევს (29 დეკემბერს) ქ. მოსკოვში უნდა მოხდეს მესამე სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება, რომელიც 1900 წ. 5 იანვრამდის გაატანს. ამ კრებაზე მეორე კითხვათ ის არის დაყენებული, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მუშა ფარმაცევტთა მდგომარეობა და რა საშუალება უნდა იხმარონ, რომ ეს მიზანი განახორციელონ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გარემოებამ შესაფერი მოძრაობა გამოიწვია მოსამსახურე ფარმაცევტებში: პეტერბურღში, მოს-



ინდოეთში ნადირობა: ველურ ღორზე.

კოვში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში და თითქმის რუსეთის ყველა ქალაქებშიაც მოსამსახურე ფარმაცევტებმა მართებლობის ნებადართვით არა ერთხელ და ორჯელ გამართეს კრება, რომელზედაც თითქმის ყოველგან ერთნაირი სურვილი და მოსაზრება გამოიხატა. მოხსენებებში, რომელნიც საზოგადო კრებაზე იქნებიან წარდგენილნი, მოსამსახურე ფარმაცევტების მოთხოვნის შესახებ შემდეგი:

1) შემკირდეს სამუშაო დღის ვადა 14—16 საათიდან 9 საათამდის. და 2) მოისპოს აფთიაქებში პანსიონები, ე. ი. ყველა მოსამსახურე ფარმაცევტს ფულათ მიეცეს სასმელ-საჭმელის და ოთახის ქარა. რასაკვირველია ეს უმთავრესი კითხვებია, რომელთა სასარგებლოთ გადაწყვეტა მუშა ფარმაცევტთათვის ძლიერ საინტერესოა, ხოლო ამ კითხვების რიგინათ გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი წარმომადგენელი ეყოლება მოსამსახურე ფარმაცევტებს მომავალს კრებაზე. ამის მიხედვით, ჩვენც,

თფილისელ მომუშავე ფარმაცევტებმა, ოქტომბერში მომხდარ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადო კრებაზე, ხმის უმეტესობით ავირჩიეთ, პროფეზორი ილია ალხაზი შვილი, რათა ამ უკანასკნელს ჩვენი მინდობილებით სხვა ფარმაცევტთა საზოგადო კრებაზე რუსეთში ჩვენი სურვილიც შეერთებია. ალხაზიშვილის არჩევაში მიიღეს მონაწილეობა კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრებმა და არა წევრებმაც, რადგანაც, თანახმად კრების თავმჯდომარის გამოცხადებით, ამ კითხვის გადაწყვეტას ჰქონდა წოდებრივი ხასიათი. ბ-ნმა ალხაზიშვილმა, აღტკინებულმა რა მისდამი ამ გვარი პატივისცემით, წარმოთქვა: „პატონებო, მე ღირსი არა ვარ იმ დიდი პატივისცემის და ნდობის, რომელიც მე თქვენ გამოამცხადეთ. მაგრამ, რაკი თქვენი სურვილი ესრეთია დიდი მადლობით ვკისრულობ ამ ვალდებულებასო“, და იქვე დასძინა: „რაკი მე ამირჩიეთ, ხარჯის შესახებ ნუ შეწუხდებით—მე თვითონ ვიკისრებო“. რასაკვირველია, დიდი მადლობა გამოუცხადეს ბ-ნ ალხაზიშვილს.

ხოლო 3 დეკემბერს მომხდარ კრებაზე კი აღმოჩნდა, რომ ალხაზიშვილი უარს აცხადებს ფარმაცევტთა მინდობილებით მოსკოვში საზოგადო კრებაზე დასწრებისას და ურჩევს საზოგადოებას სხვა ავირჩიეთო. 3 დეკემბერის კრებაზე მოსამსახურე ფარმაცევტთა რიცხვი ძლიერ ცოტა იყო, რადგანაც, რო-



ინდოეთში ნადირობა ფოცხვერზე.

გორც მათ ეგონათ, მათთვის საინტერესო არაფერი იყო მაინცა და მაინც გადასაწყვეტი... აფთიაქრებმა საზოგადო კრებაზე გასაგზავნათ აირჩიეს კრების თავმჯდომარე, სამხედრო პროკურორი ბ-ნი იასტრე-ევსკი, რომელიც კრებაზე იმით იწონებდა თავს, რომ რასაც ჩვენ ვფიქრობთ, იმას ფიქრობენ რუსეთის სხვა აფთიაქრებიცაო... ამ ნაირათ თფილისის მოსამსახურე ფარმაცევტთა სურვილმა „ჩაილუღის წყალი დალია“. ეს ყველაფერი ხომ ასე, მაგრამ კითხვა ახლა იმაშია, თუ რამ აიძულა ბ-ნი ალხაზიშვილი, რომ ჯერ სურვილი და თანხმობა გამოეცხადებია და შემდეგ კი უარი ეთქვა.

დამსწრე ფარმაცევტთაგანი.

ბ ე ლ გ ი ი დ ა ნ

ადგილუბრები თვით-მმართველობა. — მუშათა შატვა საბჭოებში. — „კომუნალური“ აჩქევები.

(გაგრძელება). *)

მუშათა პარტიის მოქმედება დემოკრატიულ რეფორმების სასარგებლოთ — გარდა იმისა, რომ დღესვე აღმჯობესებს მუშათა მდგომარეობას — არის იმავე დროს მუშათა აზრების გაფრქველება, მუშათა კლასიური ცნობიერების განვითარება.

ბრიუსელში მოხდა მუშათა ხმონების ფედერაციის (შეერთება-კავშირი) კონგრესი, რომელზედაც დაესწრო 300-მდე დელეგატი ხმონის სხვა-და-სხვა „კომუნებიდან“ და აგრეთვე კანდიდატები მომავალ არჩევნებისთვის. შეიმუშავეს გეგმა, ტაქტიკა და პროგრამა მოქმედებისათვის. შეადგინეს ორატორების წრე ისეთ „კომუნებში“ გასაგზავნათ. სადაც ადგილობრივ არ ეშოვებოდათ გამოცდილი ორატორები. წერდნენ პარტიის გაზეთებში, სცემდნენ შესაფერ ბროშიურებს და სხ. და სხ. როცა მოახლოვდა არჩევნები დაიწყეს სახალხო კრებების, მიტინგების გამართვა; აქ უხსნიდნენ მსმენელთ პარტიის მისწრაფებას, სინათლეს ჰყვენდნ ხალხის ნამდვილ ინტერესებს, ასწავლიდნ საღ იყო მტერი და სად მოყვარე. მათი წარმომადგენელი ესწრებოდნ აგრეთვე ბურჟუაზიულ მიტინგებზე, სადაც ფარდას ხდიდნ ამ პარტიების ვინაობას და აჩვენებდნ, რომ მათ ლამაზ სიტყვებსა და დაპირებებში გამოხეულთა, ცბიერი, ექსპლოატატორული ინტერესე-

ბი. „ლამაზ“ სიტყვებსა და დაპირებებს ბურჟუაზიული პარტიები სწორეთ რომ უხვათ ხარჯვენ ხოლმე. მაგ. ერთ მიტინგზე ლიბერალი-კონსერვატორი ასე ლაპარაკობდა: „ჩვენც, სხვებზე არა ნაკლებ შეგეტკივა გული მშრომელთათვის. ჩვენ თვითონ მშრომელნი ვართ. ჩვენ შორის არ არიან კაპიტალისტები. ყველანი ვშრომობთ; ხელებით თუ არა ტვინით, გონებით. ჩვენ ვეწინააღმდეგებთ კლასთა ბრძოლას. ჩვენი მიზანია საზოგადოებრივ კლასების ერთმანეთთან დაახლოვება და ყველას, საერთო კეთილ-დღეობის სამსახური“. ორატორის სიტყვებმა საშინელი სტვენა და დრტვინვა გამოიწვია ზალაში...

წელს მუშათა პარტიას უფრო ძნელ პირობებში მოუხდა ბრძოლა, ვინემ წარსულ, 95 წ-ს არჩევნებზე. მუშათა შესანიშნავმა გამარჯვებამ საკანონმდებლო არჩევნებზე აიძულა მთავრობა ადგილობრივი საარჩევნო სისტემა შეევიწროებინა. რომ არ გაეცხენოთ ამ სისტემის სხვა-და-სხვა დამატებანი, ბურჟუაზიის 3 და 4 ხმა, მარტო ის გარემოება, რომ კანონი საარჩევნო უფლებისათვის თხოულობს წლოვანებას 30 წ. და 3 წლის განმავლობაში ერთ ადგილას ცხოვრებას, მარტო ეს გარემოებაც, მრავალ მუშა ხალხს საარჩევნო უფლების გარეთ ტოვებს. ცნობილია, რომ ახალგაზღობა (მაგ. 21 წლისა) მუშა ხალხში უფრო გაცილებით მეტია, ვინემ ბურჟუაზია შორის. ამასთანავე მუშა თავის ეკონომიური მდგომარეობით იძულებულია საცხოვრებელი ადგილი ხშირათ იცვალოს ხოლმე. გარდა საარჩევნო სისტემის უხერხულობისა, მუშათა პარტია წარსულ არჩევნებზე შეკრებილი იყო სხვა ბურჟუაზიულ, ოპოზიციონურ პარტიებთან; წელს კი მარტო მოუხდა ბრძოლა, რადგან სმეტდენეიერის კანონ-პროექტმა დაარღვია ოპოზიციონური კავშირი. გამონაკლს შეადგენდა რამდენიმე „კომუნა“, მათ შორისა: ლუვენი, ანტვერპენი და სკარბეკი (ბრიუსელის ფობურგი); აქ კიდევ დარჩა კავშირი. ეს იხსნება იმით, რომ ამ ადგილებში კიდევ ძლიერია კლერიკალური პარტია.

ბურჟუაზია დარწმუნებული იყო, რომ მუშათა პარტია ყველგან წააგებდა ბრძოლას. ნამეტურ კლერიკალები სიაჟონების ნერწყესა ჰყლაპედნ და წინაღლითვე გამარჯვებას დღესასწაულობდნ. მათი სიხარული ნადრევი გამოდგა. თუ 1^ა ოქტომბრის არჩევნებზე რომელიმე პარტია ჩაითვლება დამარცხებულათ, ეს არის კლერიკალური პარტია. განსაკუთრებით ბევრი დაჰკარგა მან ნამიურში, ლიეჟში, ანტვერპენში და ლუვენში. ერთ „კომუნაში“ უბრალო მუშამ დაამარცხა პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ბარონი სნოი. ამომრჩეველთ მუშა გაათეთრეს და

*) ის. „ტელა“, № 48.

ბარონი გააშავეს. კლერიკალებმა—რომ ველარას გაბედენ—ერთ „კომუნაში“ (ალოსტი) თავისთავად შეიღებოდა იყარეს ჯავრი. მოვიყვანთ ამ ინციდენტს, როგორც პარტიის დამხანაოთებელს: ხსენებულ „კომუნის“ ოპოზიციის კანდიდატთა სიაში ჩართული იყო სხვათა შორის სახელი ცნობილ აბბატ დანსისა (ქრისტიან-დემოკრატიების ბელადი). გაიგო თუ არა ეს ამბავი იმ პროვინციის (კენტის) ეპისკოპოსმა, შეაჩვენა აბბატი და უბძანა სასულიერო ტანისამოსი გაიხადეო. ეპისკოპოსი ასე აცხადებს: „მივიღეთ რა მხედველობაში, რომ აბბატი დანსი ესწრება ხალხის სხვა-და-სხვა კრებებსა და ყრილობებზე და მით პატივსა ხდის ეკლესიურ საამოსელს, თესავს კლასთა შორის სიძულვილსა და განხეთქილებას, მოქმედებს ხალხის ინტერესების ქეშმარიტ დამცველთა (ე. ი. კლერიკალების), წინააღმდეგ მართლ-მორწმუნეებს აბნევს სწორე გზიდან, ჩვენ იძულებული ვიყავით აგვეკრძალა აბბატ დანსისათვის ეკლესიური სამოსელის ტარება. ღმერთმა უწყის, რაოდენ გასაჭირ იყო ჩვენთვის ასეთი სასჯელის წარმოქმნა. ვთხოვე ქვეშევრდომ სამღვდელთა და ილოკონ აბბატისათვის, რომელმაც ესოდენი მწუხარება მოგვყენა“. ამაზე დანსმა უპასუხა: მე ყოველთვის ვისარგებლებ მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებით და თქვენი განკარგულების წინააღმდეგ კი პაპთან გადამაქვს საჩივარიო.

კლერიკალება ერთ „კომუნაში“ (მალინი) საკმაოდ გაუღიმა ბედმა. მათ განმარჯვეს ყველა პარტიებზე 700 ხმის უმეტესობით. მარა ხალხმა აქაც ჩააშხამა გამარჯვება. მოახდინეს საწინააღმდეგო მანიფესტაცია; სხვათა შორის ჩამატერიეს რამდენიმე კლერიკალურ დაწესებულების და ეკლესიის შუშები. მუშათა პარტიამ რამდენიმე ადგილი დაჰკარგა ზოგიერთ „კომუნაში“; 1).


1) სასკლდობრ, შარდრუასა და „ცენტრის“ „კომუნებში“. ესენი კომუნის ქვანახშირის წარმოების რაიონს (ადგილს). აქ მუშა ხალხი შედარებით უფრო გჭირებულ ეკონომიურ მდგომარეობაშია და აქნებ ამიტომაც აქ სძიმრათ ემხრობიან ბურჟუაზიულ პარტიებს, უფრო კი კლერიკალებს. შენამწუხაია, რომ მუშათა პარტიამ უფრო დონიერია იმ ადგილებში, სადაც მუშა ხალხი უკეთესათ ცხოვრობს ნიკოთიერათ; უკეთესი სადგომი აქვს, უკეთესი სასამქლე-საჭმელი და მეტი თავისუფალი დრო გონების გასავითარებაში.

2) ჩვენ ვიღებთ მარტო ბრიუსელს, უფრობურკეპოთ. უკანასკნელთ საკუთარი, ცალკე საჭკაუბი აქვთ. საკუთარი ბრიუსელში 200,000 მცხოვრებია.

პარტიას ჰყავს თვალსაჩინო რიცხვი წარმომადგენელთა 600 „კომუნაში“. ამთგან 32-ში შეადგენენ უმრავლესობას.

უმთავრეს, ინდუსტრიალურ ცენტრების „კომუნებში“ პარტიათა ძალ-ღონის განაწილების საშუალო ტიპათ შეიძლება ავიღოთ ბრიუსელის საბჭო. აქ ყველ-გასულ ხმოსანთა შორის იყვენ: კლერიკალები 5; ლიბერალები 6; სოციალისტები 4; არჩეულ იქმნენ: კლერიკალი 4; ლიბერალი 4; სოციალისტი 4; პროგრესისტი 2. მთელ საბჭოშია კლერიკალი 11; ლიბერალი 14; პროგრესისტი 2; სოციალისტი 12.

ქ. ბრიუსელი.



მ ტ რ ე ბ ი.

უ უსინიდილობა, უსინიდილობა! არაოდეს არ დაეთანხმდები მაკაზე!—აღელვებით ამბობდა მარგარიტა, რომელსაც შეეგერემანი სახე წამოწითლებოდა, მუქი თვალები ანთებოდა და სწორი წარბები მრისხანეთ მოღუშოდა.

—არ შეიძლება, გვიბრძნოთ, რატომ არის უსინიდილობა?—დაკინეთ შეეკითხა მარგარიტას შუატანის, წვრილი და მოქნილი, დედოფალასავით ლამაზი და დედოფალასავით ხუჭუჭ თმიანი ჩინკა, როელიც მთელ გიმნაზიაში განთქმული იყო, როგორც ყოველი ეშმაკოზის, ყოველი ცელქობის მოთავე და წინამძღოლი.

დიდი რეკრეაცია იყო. გარეთ წვიმა, კარდორებში ციოდა, ბნელოდა. მეექვსე კლასის მოსწავლეებმა ისარგებლეს ზედამხედველი ქალის ავით მყოფობით, ჩაიკეტეს შიგნიდან კარები და მთელ რეკრეაციას კლასში ატარებდენ. ახლა ყველა ისინი ერთ ადგილას შეჯგუფებულიყვენ, კათედრასა და დიდ ფანჯარას შორის. აქამდის ყველა ხმა მალლა ლაპარაკობდა, ყველა თავის აზრს გაიძახოდა, მაგრამ აი,

მარგარიტა და ნინკა შეებნენ ერთმანეთს და ყველა გაჩუმდა. ნინკა და მისი მეგობარი, გამხდარი, ქერა, მორცხვი და გაუბედავი ანიკო, გადახეული და ერთ შალში გახეული, კათედრაზე მოთავსებულიყვენ ორივე ერთ სკამზე; ანიკოს ბევრათ მეტი აღელვებ, ეხატებოდა სახეზე, ვიდრე ნინკას, რომელმაც შეუპოვრათ გაუყარა თვალი თვალში თანჯარასთან ამაყათ მდგომ მარგარიტას.

— იმიტომ რომ გინდათ დაიჯაბნოთ, გინდათ დაამციროთ კაცი, რომელსაც თავის დაცვა არ შეუძლია, რომელიც ჩვენზე სუსტი, ჩვენზე უღონოა!..

— ტყუილია! — შეაწყვეტინა ნინკამ და ფეხზე წამოდგა. ჩვენ გინდა დავამციროთ და შევარცხინოთ სუსტი და უღონო კაცი კი არა, ჩვენი მასწავლებელი, რომელმაც ისეთი საინტერესო საგანი, როგორც ისტორია, აუხსნელათ და გაუგებრათ, თუთიყუშივით ზეპირათ სწავლებით შეგვაძულა და თვალით დასაინახავათ კი შეგვაზარა.. ამისთანა კაცი ღირსი არ არის დამცირების, ღირსი არ არის შერცხვენის?

ნინკა თითონ გაიტაცა თავისმა მჭერმეტყველობამ. ის გრძნობდა, რომ კათედრაზე წინაშე მდებარე აღელვებული, მარგარიტასკენ ხელ გაშვეროლი — ის ლამაზი იყო, გრძნობდა, ხედავდა, რომ ბევრი ამხანაგი ალტაცებით მიჩერებოდა და გული სიხარულით უძვერდა.

მოსწავლეები კიდევ უფრო ახლო მიიჯგუფენ და თვალს არ აშორებდნენ არც ერთ მოლაპარაკეს. ეს შეტაკება ძალიან საინტერესოთ ჰქონდათ. მეოთხე კლასიდან დაწყებული, რაც მარგარიტა შემოეზარა და მაშინვე პირველ მოწაფეთ გახდა, იმასა და ნინკას შორის ჩუმი, დაფაული, მაგრამ შეუწყვეტელი, სასტიკი მეტოქეობა ატყდა; მანამდის ცოცხალი, ნიჭიერი ნინკა ძალიან იშვიათათ ამზადებდა. გაკვეთილებს, ხან რეკრეაციებზე თუ მოასწრებდ გადაკითხვას, ხან მოხერხებით გაიწლიდა წინ წიქ და მასწავლებლის შეუმჩნეელათ პირდაპირ ქვემოთ კითხულობდა და ისე უპასუხებდა, ხან ისე, რაღაც ალაღბდებდათ გამოძვრებოდა ხოლმე გასაჭირიდან, მაგრამ მას აქეთ, რაც მარგარიტა შემოეზარა, ნინკას ბეჯითობაში ველარაინი ჯობნიდა. გარეგნობით ორივე ქალიშვილი კარგ განწყობილებაში იყვენ; თუმცა დაახლოვებით კი არ დაახლოვებულან, მაგრამ არც უსიამოვნო ლაპარაკი მოსვლიათ არაოდეს, ძალიან ერიდებოდნენ ერთი მეორეს და ყველაზე უფრო იმას ცდილობდნენ, რომ არც ერთმანეთისთვის და არც სხვა ვასემსთვის არ შეემჩნევიებინათ, რომ ერთმანეთის მეტოქეობით სწავლობდნენ ორივე ასე კარგათ... ეს პირველათ მოუხდათ შეტაკება და მთე-

ლი კლასი, რომელსაც დიდი ხანია, ყველაფერი შენიშნული ჰქონდა, ხმას არ იღებდა და სულგანაბრული უგდებდა ყურს მათ ლაპარაკს.

— ძალიან მჭერმეტყველურათ ლაპარაკობთ, ნინკა, მაგრამ მარტო მჭერმეტყველურათ, და არა სამართლიანათ! აბა ერთი რომელიმე ხნიერი, გამოცდილი და სასტიკი მსწავლებელი გვასწავლიდეს აგრე, როგორც ივან პეტროვიჩი, მაშინ თუ გაბედვით რასმე! კრინტსაც ვერ დაძრავდით! ახლა კი ხედავთ, რომ ივან პეტროვიჩი ნამეტანი ახალგაზდაა, რით რომ ყველასი ერიდება, ყველაფრის რცხენია და იმიტომაც გაქეთ აგრე დიდი გული!

— არც ხნიერი და არც ახალგაზდა არ გვინდა მაგისტანა მასწავლებელი, არც ივან პეტროვიჩი და არც სხვა! ჩვენ ბავშვები აღარა ვართ, რომ გვიბრძანებს ხოლმე, აქედან აქამდის გაიზვიპრეთ, ვისაც არ ეცოდინება, ედინიცას დაეუსვამო! იმასა აქეს, მართლა და, დიდი გული ჩვენთან, მე კი არა! მასწავლებლების ოთანში რომ შეიხედო, ამოწუმწულ ქათამსავთ არის კუთხეში ატუზული, ჩვენ კლასში კი დაიდებს წინ ყურნალს, დაიჭერს კაპამს და თავისი თავი დიდი რამ ჰკონია. არა, ჩვენ ვერ მოვითმენთ ამას, ვერა, ვერა! — და ნინკამ ამაყათ დააბრაგუნა თავისი პატარა, კონტა ბაშმაკში გამოკაეებული, ფეხი.

ანიკომ ალტაცებით შეხედა მეგობარს. მორცხვს და გაუბედავს, მას დიდხანია თავის იდეალათ უშიშარი და გამბედავი, ცელქი და მოუსვენარი ნინკა დაესახა, რომელიც ამ ალტაცებით და მორჩილებით კმაყოფილი და ბედნიერი ძალიან დაუახლოვდა და შეუთვისდა ანიკოს.

— ერთი სიტყვით, გინდათ რომ სიცაცხლე გაუმწაროთ ივან პეტროვიჩს, ამ ადგილისთვის თავი დაანებებნოთ?

— მინდა, რომ უნიჭო და უცოდინარ მასწავლებელს გადაერჩეთ, მეც მინდა, და, იმედია ყველა დანარჩენებსაც! — ლამაზათ მიუთითა მოსწავლეებზე ნინკამ.

— და უნდა გავადგებინოთ საწყალი, მარტოხელა ყმაწვილი კაცი, ავთამყოფი, ტლექიანი, რომელიც, ვინ იცის, იზოფენის თუ არა სხვა ადგილს? რომელიც... შეიძლება, შიმშილითაც მოკედეს ჩვენ გამო? — მარგარიტას ხმა აუკანკალდა; მართლაც, ყველა მოსწავლეებმა კარგათ იცოდნენ, რომ მათ გიმნაზიაში ადგილის მიღებამდის ივან პეტროვიჩი საღაც ქალაქის განაპირას ცხოვრობდა და საშინელ სიღარიბეში იმყოფებოდა, მაგრამ ახლა უმეტესი ნაწილის თანაგრძნობა ნინკას ეკუთვნოდა; ყველან



უნდა და გავგო, დაენახა, რა ბოლო ექნებოდა მის განზრახულ ეშმაკობას.

— რასაკვირველია, თქვენი გულმტკივნეულობა და გულკეთილობა ძალიან საქები და საღიდეგელია, მაგრამ... ჩვენ აქ ლაპა აკი გიმნაზიაზე გვაქვს და არა რალაც უფასო თავშესაფარზე, საცა სიღარიბის და ავითმყოფობის გამო ინაწავენ ხალხს... დაცინებით წამოიძახა ნინკამ.

ეს შედარება ყველის ძალიან მოეწონა, გიმნაზიელ ქალებმა ხმა მალლა სიცილი დაიწყეს. მარგარიტა, გულმოსულობისაგან შევიწროებული თვალებით პირდაპირ თვალეში შეაჩერდა ნინკას, მაგრამ ნინკა მას აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა, ის კიდევაც მიბრუნებოდა ამხანაგებს და მხიარულოთ ეუბნებოდა:

— აბა, არ დაგვიწყდესთ, ჯერ ერთი რომ არა ვინ არაფერი არ უნდა ეუბასუხოთ, მეორე კი — როგორც თორმეტი საათი გახდება, მე დაეიწყებ და ყველა უნდა ამაყვეთ...

— ყველა არ აგყვებათ, პირველი მე ვამბობ უარს! — ხმამალლა თქვა მარგარიტამ, რომელიც ისევ ფანჯარასთან იდგა, მაგრამ ახლა ნინკასკენ ზურგი მიექცია და ქუჩისკენ გაიყურებოდა.

— არც მე, არც მე... — მხარი დაუჭირა სამმა — ოთხმა ამხანაგმა მარგარიტას.

— ნუ გეშინიათ, უთქვენოთაც შევაფუცხუნებთ! — სიცილით მიუგო ბაბიმ, რომელიც ყოველ ეშმაკობაში ნინკას პირველი ხელის შემწყობი იყო.

ზარის ხმა მოისმა. ბაბიმ კარები გააღო, ყველა თათავის ალაგას დაჯდა სახეზე ყველას აღელვება და მოლოდინი ეხატებოდა; ყველაზე უფრო ნინკა იყო აღელვებული, თუმცა ცდილობდა, არავისთვის არაფერი შეემჩნეინებინა. თუ მასწავლებელმა პირველათ მარგარიტას, ან რომელსამე მის ამხანაგს ჰკითხა — ყველაფერი წახდა, მთელი საქმე ჩაიფუშება და მარგარიტა გაიმარჯვებს! არა! არა! არა! ეს შეუძლებელია!

ივან პეტროვიჩი თავ ჩალუნული, თვალე დახრილი შემოვიდა, მაუხერხებლათ დაუკრა მოსწავლეებს თავი, შეკვდა კათედრაზე და ქურნალი გაშალა.

— ღმერთო! შეკვიწყვე ხელი! ღმერთო, გავცა მარჯვებინე! — ლოცულობდა ეულში ნინკა.

— მაააშვილი! — მოისმა მასწავლებლის მიყრუებული, ჩახლენილი ხმა.

ნინკა წამოდგა. ანთებული სახე უეცრათ მთლათ გაუფითრდა, მან თავი მალლა აწია და უშიშრათ დაუწყო პირდაპირ სახეში ყურება მასწავლებელს.

— რა გაქვსთ მოცემული დღისთვის? ნინკამ უზრუნველათ ფანჯრისკენ ყურება დაიწყო.

— გაკვეთილი იცით თუ არა? — წარბები მოქმუნა მასწავლებელმა, რომელიც ქურნალს დახმობოდა. მოსწავლეების ყურებას ის ვერაოდეს ვერ ბედავდა. ეტყობოდა, ქუჩაში რალაც ძალიან საინტერესო ამბავი ხდებოდა, ნინკა ფანჯარას თვალს ვერ აშორებდა.

— დაბრძანდით! ცოტახანს იქთ თქვა მასწავლებელმა და ნელნელა ჩამოუსვა ედნიცა ქურნალში. ნინკა დაჯდა და თავმომწონით გადახიდ გადმოხედა თავის ამხანაგებს მარგარიტამ ტუჩზე კბალები დაიჭირა, ისედაც მუქი თვალეები მთლათ გაუშავდა.

ივან პეტროვიჩი ზვედან ქვევით და ისევ ქვევიდან ზვეით კითხულობდა მოსწავლეების გვარებს, დიდხანს არჩევდა, ვისთვის ეკითხა, ბოლოს ვერაზე შეჩერდა და ისევ ისეთივე მიყრუებული ხმით წარმოთქვა:

— გიორგაძე!

უკანასკნელი პარტიდან მალალი და მსუქანი, სრულიად დაქალებული, 18 წლის მოწაფე წამოდგა. ის მაინც და მაინც არც ნინკასი და არც მარგარიტას მომხრე არ იყო, მაგრამ დღეს ჩვეულებრივათ გაკვეთილი არ იცოდა და ამ წამს გადაწყვიტა, ნინკასავით მოქცევა ყველაფერს აჯობებსო. ის მიეყუდა კედელს და ჰერს მიაშტერა თვალეები.

— მოყვეით, რაც მოცემული გაქვთ!

გიორგაძე დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ჰერს. მასწავლებელმა უცებ აწია თავი, დაკვირვებით შეხედა მოწაფეს და ისევ ქურნალს დაემხო. მის გამხდარ, ყვითელ სახეზე, რომელსაც სწორი, ზვეთ აჩეილი შავი თმა კიდევ უფრო გამხდრათ და ყვითლათ აჩენდა, გაკვირვება და თითქო რალაც შეშინება გამოიხატა.

— არც თქვენ იცით? დაბრძანდით! — ჩახლენილი ხმით თქვა მან და კარგა ხნის სიჩუმეს შემდეგ კიდევ სამოთხ მოწაფეს ჰკითხა; თითქო განგებო, სულ ნინკას მეგობრებს ჰკითხავდა და ისინიც ზანტათ დაებოდენ და ხმა ამოუღებლათ ერთ რომელსამე საგანს მიჩერებოდენ. მასწავლებელი გაყვითლდა, სახეზე ტანჯვა დეტყო, ამ ტანჯვის გამომეტყველებამ მთლათ გადაუბრუნა გული მარგარიტას.

— მაშ სულ არავენ იცის გაკვეთილი? — საწყალი ხმით წალაპარაკა ივან პეტროვიჩმა.

მარგარიტა წამოდგა. მასწავლებელმა სწრაფათ მიხედა იქითკენ და კითხვით მიჩერდა მას, ეტყობოდა, ეშინოდა, ესეკ ახალ ხითათს არას მიშხადებდესო. სწორეთ ამ დროს დაჰკრა 12 საათმა. მოს-

წავლევებს ყველას ცხვირსახოცები ჰქონდათ დამზადებული.

— ცხინკ! — ხმა მაღლა დააცხინკვა ნინკამ.

— ცხინკ! ცხინკ! ცხინკ! ცხინკ! — აჰყვენ მას ამ ხანაგები. საიუკენაც კი უნდა გაეხედა ფეხზე წა მომხტარ იგან პეტროვიჩს, ყოველგან მოსწავლეების ხელში თეთრ ცხვირსახოცებს, მათ სახეზე და თვალებში — ძლივს შეკაეებულ სიცილოს ხედავდა. ყურებში კი სულ ის საძაგელი, ის ნერვების ამშლელი „ცხინკ, ცხინკ!“ ესმოდა.

იგან პეტროვიჩმა ერთ ხანს გაშტერებით უყურა მოწაფეებს, მერე თოფ ნაკრავივით გაფარდა კარში. მაშინვე ცხინკება შეწყდა, მაგიერათ მთელ კლასში შეუკაეებელი სიცილო-ხარხარი ატყდა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ყველაზე ხმამაღლა იცინოდა ნინკა, რომელიც არც კი მოელოდა, თუ მასი განზრახვა ასე ბრწყინვალეთ დაგვირგვინდებოდა. — ღმერთო, რა თვალებით გვიყურებდა, რანაირათ გაფარდა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

ამდროს მან შენიშნა, რომ მარგარიტა, გაფითრებული და აღელვებული მარგარიტა, ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდა მას და გაფართოებული, გამუქებული თვალები პირდაპირ მის თვალებში გაეყარა.

ნინკამ უცებ შეწყვიტა ხარხარა, უნებლიეთ წამოდგა და ერთი ნაბიჯი წინ გადადგა მარგარიტასაკენ.

— მე თქვენ მეზიზღებით! — გაისმა უცებ მიყუჩებული კლასში მარგარიტას აკანკალებული, მაგრამ მაინც სასიამოვნო ხმა. — მე თქვენ მეზიზღებით და ამას იქით მე და თქვენ ერთმანეთის მტრები ვართ!

ელ. წაკეთაქლი

(შემდეგი იქნება)

ლია წერილი ბ-ნ დოქტორ ნაზაროვს.

ბილი ხანია მას აქვთ, წელიწადზე მეტია, რაც ჩემთან მოვიდა ერთი ავთამყოფი, რკინის გზის მუშათაგანა, რომელიც ნამეტანის ღრიალითა და ყვირილით ითხოვდა დილაადრიანათ ყველაზე უწინარეს გაშინჯვას. ავადმყოფმა შემოამჩივლა: „ბატონო, ეს ექვსი დღეა ვწვალობ, ასე დასაკლავ ხარივით მაზღაველებს, გამოვეთხოვე წუთი-სოფელს... შენი ქირიმე, მიშველე როგორმე. სამუშაოთ მიწვევენ, — თვითური მუშა ვარ, და მე-კი ავერ ჩემი დამეპართება. ნეტავი, ცოცხალი გადავრჩებოდე და ადგილის დაკარგვას-კი ვინდა ჩივის

და სხე...“ ყურის ტკივილს უჩიოდა და მართლაც, შემსაბამი გაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყურში რაღაც ჰქონოდა, რაც გამოღების შემდეგ წარმოადგენდა მწერის დახრწნილ ნაწილებს.

ამას შემდეგ მუშის თხოვნა დაეკმაყოფილე, მივეცი შემდეგი შინაარსის მოწმობა: „ამა და ამ მუშას ჩემთან მოსვლის დროს ესა და ეს ეუნახე ყურში. გამოღების შემდეგ აღმოჩნდა რაღაც მწერის დახრწნილი ნაწილები, რომელიც ზოოლოგიურ ათქნელათ განისაზღვრების. ამის ყურში ყოფას სწორეთ შეეძლო ისეთი ტკივილები აეტეხა ამ ადამიანისათვის, რომ მუშაობაზე ხელი აეღებინებია. მწერის ნაწილები-კი დამამტკიცებელ საბუთათ ჩემთან ინახება“.

წელიწადზე მეტმა დრომ გაიარა ამას შემდეგ რომ გავრცელდა ხმა, ეითომც მე განზრახ მიმეცეს იმ მუშისთვის მოწმობა — საჩივლელათ, რომ მერე თქვენ ადგილზე, ე. ი. რკინის გზის ექიმობაზე შეგცილებოდით.

როგორც გავიგე დანამდილებით, სარწმუნო წყაროებიდან, რკინის გზის სამმართველოდან შემოკითხვაზე პასუხათ ჯერ ის მივიციათ, ბატონო დიმიტრი, რომ ექიმი ლ — ძე არც-კი არის არავინო. ეს, ეთქვათ, არაფერი, შესაძლებელია, ასეთ პატარა კუნჭულს, როგორც ყვირილა არის, რამოდენიმე წელიწადსაც ვერ გააგებინოს ექიმმა თვისი არსებობა სხვებს და შეუმჩნეულათადაც დაჩიეს, ამაში ან-კი ვინ გაიმტყუნება? — ისევე ჩვენ უნდა შეეჩივლოთ ბედს, ასეთ გამომწყურეულ არსებობისათვის. სოფლათ მყოფი ექიმების არსებობა ხომ ისეთი რიხით არ ჩხრიალებს, როგორც ქალაქის ექიმების... ხოლო როდესაც თქვენი პასუხის შემდეგ შემოჰკითხვიან ქუთაისის საექიმო სამმართველოს, რომელსაც უცნობებია, რომ ექიმი ლ — ძე არსებობსო, და ისევე ხელმეორეთ უკითხავსთ თქვენთვის ამ საქმის შესახებ, თქვენ მიგწერიათ: „მე ის ავთამყოფი ვნახე, მაგრამ ყურში მას არაფერი არა ჰქონიარაო; უთუოთ თვითონ მუშას ჩაუსჯავს ყურში მწერი“. (!) ეთქვათ, ამ ნაწერით ასე იყო ახსნილი ეს გარემოება და მთელი ბრალი მუშას ედება (თუმცა უცნაური წარმოსადგენია, რომ ქართველმა მუშამ განგებ ყურში მწერი ჩაისვას, ისიც რისთვის? მხოლოთ მისთვის, რომ ექვს დღეს არ იმუშაოს და ამ ექვსი დღის სამუშაო ქირა აიღოს. მხოლოთ იმ პირობით, რომ ექვსი დღის განმავლობაში დღე და ღამ იღრი-აღოს და თვალზე ცრემლი იდინოს, — რასაც ათი და ოცი, იმ მუშასთან მყოფი პირები დაამოწმებენ), მაგრამ ეს სხვები რატომ არ ხსნიან ასე და არ იმეორებენ ამგვარ ახსნას? არამედ ყველანი თითქმის



ერთ წყაროდან ნასესხებ ცნობებს იმეორებენ და სულ სხვანაირათ ხსნიან - რას უნდა მიაწეროს კაცმა ეს, ან ვის უნდა დაეწმოს ამ ხმების ავტორობა?.. - აი ამაზე ვირობე მოჩინილათ პასუხს, რადგანაც ამ საქმის გამორკვევა ერთნაირათ საჭიროა ჩემთვისაც და თქვენთვისაც!...

დაკითხები მსახურის მომღვინველი ექიმი ვასტანგ დამასიძე. 1)

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-45 №-ში დაბეჭდილია „მართლის მთქმელის“ წერილი ზესტაფონიდან. ვნახეთ რა მართლის მთქმელი ყოფილა ეს პატრონი...

ზესტაფონის წიგნთ-საცავის წევრთა კრება იყო ორჯერ ივნისში, ორ-სამჯერ ივლის-აგვისტოში და 11-სა და 18-ს სექტემბერს. 11 სექტემბერს (ამის წინათაც ვამბობდი) მე ვაღწერებოდა განგაცხადე, რომ გამგეობის წევრობა არ მსურდა: მოწამენი არიან ბნინი ვასტ. დამასიძე, ს. ელიაშვილი და სხვები. „მართლის მთქმელის“ რასაკვირველია ეს არ ეტყობინებთ, რადგანაც „ქმედობის“ დღემდე (18 სექტ.) ისინი წიგნთ-საცავს არ ეკრებოდნენ. 18 სექტ. წინანდელმა წიგნთ-საცავმა განისკვნა ვ. ა - შვილისა, ა. ა - ძისა, ბიჭო. გ - ძისა და „ამხანაგობის“ სკედი. სხალი ნებათავე ისე ავიდეთ, რომ ამით არც ვი ვაუგოთ.

18 სექტემბრამდე ვალი აღმოჩნდა 87 მანათი. ამაში 40 მანათი უნდა მიეღო მეწიგნ საცავს მისი გაჩენილად. სხვათა შორის ერთ გარემოებასაც მოვიხსენიებ: ამ ფულებს მისა გაჩენილად თხოვლობდა ვაწიშატობით და ორჯერ კიდევაც დაკრებ ბიბლიოთეკის კარები. ვიტყვი აგრეთვე, რომ ეს გაცი მზათ იყო ამ ფულებზე და შემდეგ თვიურ სუთ-სუთ მანათზე ხელი აეღო, თუ ვი იმის გულისთად მეგობრებს, გამგეობის სახელით მოგზავლად ვივი არ ვაქნებოდი, რომ ორავსთვის თუთ-რი კანკალი არ მიმეცა?

17 მანათი, რომელსაც ვაძისის „მართლის მთქმელი“, კრების ანგარიშით საჭირო იყო 87 მანათის ვალის გადასახდელათ და მომავალ 1900 წლის თებერვლამდე წიგნთ-საცავის შესახასათ. ამის ვინ დაუძახებს

1) ვაძლევთ ადგილს ამ წერილს ჩვენ ურუნდელი რათა გამოჩვენოთ იქნეს ეს უცნაური აზრები. ამის საბასურსოთ წარმოგზავნილ წერილსაც აგრეთვე დათმობილი ექნება ადგილი ჩვენ გამომცემში. რედ.

მედი გამგეობის ვალს? 18 სექტემბრიდან თებერვლამდე სომ 4¹/₂ თვეა ვიდევ? ამის მოწამენი არიან ზესტაფონის სესხებულნი შინი, ვადა „მართლის მთქმელის“ რასაკვირველია.


განსაცვიფრებელი ერთი რამ არის: მედმა გამგეობამ არაფრისგან შექნა და მოაწყო წიგნთ-საცავი, სხვათა შორის 140 მანათი მიუთვალა ალ. ანაბიძეს. საიდგანაც 50 მანათი წინანდელი გამგეობის ვალი იყო. თუ მზა-მზარეულ საქმეზე 87 მანათს ვალი ქვეა, შირველს რად დაუჭრებათ? „მართლის მთქმელები“ ამას ვი ფარავენ!..

ვინ მოახსენა „მართლის მთქმელს“, რომ მე შევუარსებუავი ბიბლიოთეკა და გამგეობა, ესე იგი ჩემი თავი და ჩემი ამხანაგები, რომელთაც მე დიდ შატის გრემ „აღმერთმა შეგარცხე ნათ“ თქვა მივწერე (და დღესაც გავუთქვამრებ) იმ შირებს, რომელნიც ჩემგან თხოვლობდნენ ანგარიში კარის-კარ ჩამოგვიტარე და სითითათ ვაჩვენეო, მაშინ როდესაც ანგარიში დაბეჭდილიც იყო და კრებებს ამის განსახილველათ ვნიშნავდით, მაგრამ სწორეთ ესენი არ გვეკარებოდნენ. ვიმეორებ სხვები არავინ არ მეუღლია სასუში და ვასაუფრველია „მართლის მთქმელები“ თავს რათ ივარტუნებენ?!

ვ. ჩ - ძე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

შინანდელმა ჩვენმა რედაქციამ გამოიწვია ნასევრათ სა-მართლისანი შენიშვნა ბ. Studiosus-ისა. ჩვენ სიტყვა „სამართლისანს ვსმარებთ მხალეთ მისთვის, რომ რაც ჩვენ შეგვეხება ამ წერილში მართლს ჩამოვავს. ვეკვლას კარგათ მოგხსენება, რომ erare humanum est, და ჩვენც, ვითარცა ადამიანი, ვუმოწმებთ მოყვანილ აქსიომას, ვლსაცურ სიბრძნეს. ჩვენი შენიშვნა ქ. მდივანზე დახჭრებული იყო; არტისტ ქალმა ვერ გაგვიმართლს იმედები; ის მართალია გვიჩინა არტისტათ დაჩქება, მაგრამ მხალეთ ვვარინათ. გულისთად მადლობას ვუძღვნით ბ. Studiosus-ს უნებლადი შეტყობის გასწორებისთვის და იმედია ნებას მომცემს რამდენიმე სიტყვა მოავსენო. საერთოთ ჩვენში ძლიერ ცოტას ისეთი მწერლები, რომელთაც თავისი ინდივიდუალური „მე“ შირველ ალაგზე არ დავეხებიოთ, რომელიც შირველი ინტერესით არ იყოს გამსჭვალული, ამისთვის ვერჩევთ მის არ ჩაწეროს იმით რაზმში. ვერჩევთ შირველი სიმბატია არტიზატია მიატოვოს, როდესაც ვისმეზე წერს, როდესაც ვისიმე დახსიათება სურს. მაგალითად: ქ. მდივანი უნიჭო არტისტათ დახსია მაშინ, როდესაც ბ. შეს-



საშეკილი მას „ჯეჯიას“ (ორი ობოლი) და სხვა-ამგვარ
 რაღაცებს აძლევს; მაშინ, რაღაცეს საზოგადოება თითქმის
 გამოუფიქრებლად მისი თამაშის, მარტალის მისი თამაში ან
 აკმაყოფილებს სტენიურ მოთხოვნებს. ჯერჯერობით,
 მაგრამ ეს ან მოთხოვნებს ახალ არტისტს, კანკვი არ-
 ტისტი უწოდა მას, იკერიის კონკრეტულად. რაც
 შეეხება ს. თეთბურძიძეს, ის თავის დღეში ან უფიქრად
 „საზოგადოებრივი“ სტენიურ მარტალის, ზეენ შოქს ვაით იმი-
 საგან, რომ მასში ნაშრომი არტისტიული ნიჭი გამო-
 ვიანათ, მაგრამ არტისტი შრომებს და ეს კი ბევრს
 ნიშნავს. Два процента гения и девяносто восемь
 процентовъ упорнаго труда, რქეა დიდებულმა
 უდისონმა. სინამდვიდე კი მოკლებულია ს. ბაღინიანის
 შენაძნებ. უკეთესი შედეგები ვთქვით მასე მაგრამ
 რაღაც უცხოენაობა კი არა. 1) ესეა ვი have con-
 dida anima.

შავია - დია.

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

„ჯეჯილი“

ვა - ი ვ ა დ ი ვ ა თ მ რ თ ვ ა ტ ვ

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე
 პროგრამით, როგორც აქამდის.

ყურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის
 საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევები-
 საგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხა-
 ვათ.

ყურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით
 ღირს—4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.
 ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და
 ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგა-
 დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз.
 Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში
 (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Во Тифлисъ, въ редакцію
 грузинскаго опыткаю журнала „Джѣджили“.*

1) უკვედ შიდეშიკას ამ საგნის შესასებ დღეიდან
 ვსმობთ.

Открыта подписка на 1900 годъ
 на ежемесячный иллюстрированный журналъ

ПРИРОДА

И **ЛЮДИ**
 Издание П. П. Сейкина, въ СПб.
 Подписной годъ начинаеся 01 Ноября.
 XI-й г. изданія.

52 ИЛЛЮСТРИРОВАН. № №
 въ которыхъ будутъ помѣщаться всѣ вы-
 дающіеся событія міра, очерки и рассказы
 изъ исторіи науки, путешествій и изобрѣте-
 ній, романы и повѣсти съ массою иллюстр.

12 **БЕЗПЛАТНО**
 иллюстрированныхъ выпусковъ
ВСЕМИРНЫЙ
ПУТЕШЕСТВЕННИКЪ

12 **КРОМЪ ТОГО,**
 том. сочиненій
 подъ общимъ заглавіемъ

**„БИБЛИОТЕКА
 РОМАНОВЪ“** (ПРИКЛЮЧЕНІЯ НА
 СУШЬ И НА МОРЬ)

3 **ТОМА** **Фалькенгорста**
 СОЧ. **СОСТАВЛЯЮЩИХЪ ПОЛНУЮ СЕРІЮ**

Африканскій кожанный чулокъ
 Т. I. Нѣжи. сердце. II. Тангаийскій левъ. III. Корсаръ пустыни.
ТОМОВЪ СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ

9 **А. ЛОРИ:**
 Томъ 1) Напиганъ Трафальгаръ. 2) Ра-
 дамекскій нарликъ. 3) Изгнанники земли.
 4) Искатели золота. 5) Атлантида. 6) Ру-
 ины Великаго Ламы. 7) Тайна Мага. 8) Черезъ
 океанъ. 9) Наслѣдникъ Робинзона.

5 **Подписная цѣна за годъ**
РУБ. безъ доставки въ СПб., съ
 доставкой въ СПб. и перес.
 по всей Россіи **ШЕСТЬ** рублей.
 ♦ ДОПУСКАЕТСЯ РАЗОРОЧКА. ♦
 Адресъ редакціи:
 -ПЕТЕРБУРГЪ, Стрѣмянная, 12, собств. д.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში

- იუდეებს შემდეგი საკუთარი გამოცემები:
- თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)
- ალბომი „ბუნება სურათებში“ ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)
- პატარა ლორდი 30 კ.
- ჩენი ძველი გმირები 30 კ.
- თეთრი და ზანგი 15 კ.
- სოლომონ მეფე 10 კ.
- ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.